განმცხადებელი : დავით მათიკაშვილი
თარიღი : 16-11-2021

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: **:** პრინციპი 1

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები **:** ჟანა აკოფაშვილი

სადავო მასალა **:** 2021 წლის 16 ოქტომბერს "მთავარი არხის" გადაცემაში "მთავარი შაბათს" ნაჩვენები სიუჟეტი: https://mtavari.tv/mtavari-shabats/60543 https://www.youtube.com/watch?v=PCwA_FY7xaE

9:45 წუთიდან

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

2021 წლის 16 ოქტომბერს „მთავარი არხის“ გადაცემაში „მთავარი შაბათს“ ჩემ შესახებ ნაჩვენები იქნა ჟურნალისტების, ჟანა აკოფაშვილისა და დავით გვალიას, ავტორობით მომზადებული სიუჟეტი, სადაც გაჟღერდა შემდეგი ინფორმაცია: „დავით მათიკაშვილს „მთავარი არხის“ დახურვის სურვილი ვერ შეუსრულდა. სამაგიეროდ, სხვა ყველა სურვილი შეისრულა, ყველაფერი, რაც გამდიდრებას ეხებოდა. რამდენიმე წლის წინ დეკლარაციაში ჩასაწერი არაფერი ჰქონდა, თუმცა მისი ცხოვრება ოცნების დეპუტატობისთანავე რადიკალურად შეიცვალა. ბინები თბილისში, ბორჯომსა და ბაკურიანში. ასე გაიზარდა დეკლარაციის ფურცლებიც. „არქი ჯგუფის“ სამშენებლო კომპლექსში უკვე დასრულებულია დეპუტატის კუთვნილი 4 საცხოვრებელი ბინა. დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ერთი საცხოვრებელი სახლის შეძენა კომპანია „არქიში“ 25000 დოლარი დაუჯდა. ეს ფასი საქართველოს დანარჩენი მოქალაქეებისთვის მიუწვდომელია.“ ამგვარად, ამ სიუჟეტში ნათქვამია, რომ: 1) თითქოს მე კომპანია „არქი ჯგუფის“ მიერ აშენებულ სამშენებლო კომპლექსში მეკუთვნოდეს 4 საცხოვრებელი ბინა; და 2) თითქოს მე ვფლობდე ბინებს როგორც ბორჯომში, ისე ბაკურიანში. აღნიშნული კი არ არის სიმართლე, არამედ ყოველივე ეს საზოგადოებისთვის ჩემ შესახებ მცდარი ფაქტების მიწოდებასა და, საბოლოოდ, ჩემი რეპუტაციისთვის ზიანის მიყენებას ემსახურება. სინამდვილეში, მე კომპანია „არქი ჯგუფის“ მიერ აშენებულ სამშენებლო კომპლექსში მეკუთვნის არა 4, არამედ 3 საცხოვრებელი ბინა, ხოლო დაბა ბორჯომში საერთოდ არ ვფლობ არანაირ ბინას. ეს მარტივად ვლინდება თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის იმ დეკლარაციიდან, რომელიც 2020 წელს წარვადგინე და რომელზე დაყრდნობითაც აგებულია ზემოხსენებული სიუჟეტი „მთავარი არხის“ გადაცემაში (იხ. https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/129304). ამ ფაქტების გადამოწმება და დადგენა მარტივია საჯარო რეესტრის მეშვეობითაც. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ „მთავარმა არხმა“ და ჟურნალისტებმა ჟანა აკოფაშვილმა და დავით გვალიამ დაარღვიეს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პირველი პრინციპი: „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.“

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **:** არ ვეთანხმები